

**მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
შპს „კონტინენტალ სითი კრედიტი“**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

## შინაარსი

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

#### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4

#### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ორგანიზაცია .....	5
2. მომზადების საფუძველი .....	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა .....	5
4. გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე სააღრიცხვო განსჯა და შეფასებებში უზუსტობის ძირითადი მიზეზები ..	18
5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა.....	20
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები .....	21
7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები .....	21
8. ძირითადი საშუალებები .....	24
9. სხვა აქტივები .....	25
10. ნასესხები სახსრები.....	26
11. ანარიცხები.....	27
12. სხვა ვალდებულებები.....	29
13. საწესდებო კაპიტალი და მარაგები.....	29
14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი.....	29
15. სხვა შემოსავალი .....	29
16. საოპერაციო ხარჯები .....	30
17. მოგების გადასახადი .....	30
18. პირობითი ვალდებულებები.....	32
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	32
20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.....	34
21. კაპიტალის მართვა .....	35
22. რისკის მართვის პოლიტიკა.....	35
23. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები .....	46

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კონტინენტალ სითი კრედიტის“  
მონაწილეს და სამეთვალყურეო საბჭოს

### *მოსაზრება*

ჩავატარეთ შპს „კონტინენტალ სითი კრედიტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

### *მოსაზრების საფუძველი*

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### *სხვა საკითხები*

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შემოწმდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 24 მაისს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება.

## **კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2018 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი, სავარაუდოდ, წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ გახდება.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

## **ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.



**Building a better  
working world**

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2019 წლის 26 ივნისი

თბილისი, საქართველო


ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	1,334	907
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	6	4,812	10,589
ძირითადი საშუალებები	7	342	284
არამატერიალური აქტივები		14	16
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები		109	-
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	16	-	979
სხვა აქტივები	8	1,744	3,096
<b>სულ აქტივები</b>		<b>8,355</b>	<b>15,871</b>
<b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>			
<b>ვალდებულებები</b>			
ნასესხები სახსრები	9	8,162	7,581
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		-	215
ანარიცხები	10	-	5,939
სხვა ვალდებულებები	11	280	170
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>8,442</b>	<b>13,905</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	12	9,446	8,429
აკუმულირებული ზარალი		(9,533)	(6,463)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>(87)</b>	<b>1,966</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>8,355</b>	<b>15,871</b>

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის მიერ:

  
 თამაზ მიქაძე  
 დირექტორი მთავარი ბუღალტერი

  
 ინდირა წინწკვაძე

26 ივნისი, 2019 წ.

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(ათასი ლარი)

	<i>შენიშვნები</i>	<b>2018</b>	<b>2017</b>
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	14	2,768	7,584
საპროცენტო ხარჯი	14	(736)	(1,711)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების აღდგენამდე/(ზარალამდე) პროცენტთან აქტივებზე</b>		<b>2,032</b>	<b>5,873</b>
გაუფასურების აღდგენა/(ზარალი) პროცენტთან აქტივებზე	7	(977)	3,796
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>1,055</b>	<b>9,669</b>
სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(329)	748
საკომისიო ხარჯი		(122)	(174)
სხვა შემოსავალი	15	154	288
<b>წმინდა არასაპროცენტო (ზარალი)/შემოსავალი</b>		<b>(297)</b>	<b>862</b>
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>758</b>	<b>10,531</b>
ანარიცხები	11	(914)	(5,939)
გაუფასურების ზარალი უპროცენტო ფინანსურ აქტივებზე	9	-	(2,991)
საოპერაციო ხარჯები	16	(1,814)	(4,725)
<b>ზარალი გადასახადით დაბეგრამდე</b>		<b>(1,970)</b>	<b>(3,124)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(1,028)	(88)
<b>წლის ზარალი</b>		<b>(2,998)</b>	<b>(3,212)</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>მთლიანი სრული ზარალი</b>		<b>(2,998)</b>	<b>(3,212)</b>
<b>მიკუთვნებადი შემდეგ პირებზე:</b>			
კომპანიის მფლობელები		(2,998)	(2,933)
არასაკონტროლო წილი		-	(279)
<b>მთლიანი სრული ზარალი</b>		<b>(2,998)</b>	<b>(3,212)</b>



**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(ათასი ლარი)

				<i>სულ მშობელი კომპანიის მფლობელებ- თან დაკავშირე- ბული</i>		
	<i>შენიშ- ვნები</i>	<i>საწესდებო კაპიტალი</i>	<i>აკუმულირე- ბული ზარალი</i>	<i>დაკავშირე- ბული კაპიტალი</i>	<i>არასაკონტ- როლო წილი</i>	<i>სულ კაპიტალზე</i>
<b>2016 წლის 31 დეკემბერი</b>		<b>4,800</b>	<b>(160)</b>	<b>4,640</b>	<b>599</b>	<b>5,239</b>
მთლიანი სრული ზარალი		-	(2,933)	(2,933)	(279)	(3,212)
მფლობელისგან ნასესხები სახსრების კონვერტაცია საწესდებო კაპიტალში	10	3,629	-	3,629	-	3,629
არასაკონტროლო პაკეტის კლება შპს „სისი ლოანის“ წილის შექმნიდან		-	160	160	(160)	-
გამოცხადებული დივიდენდები	13	-	(3,530)	(3,530)	(160)	(3,690)
<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>		<b>8,429</b>	<b>(6,463)</b>	<b>1,966</b>	<b>-</b>	<b>1,966</b>
ფასს (IFRS) 9-ის მიღების გავლენა	3	-	(72)	(72)	-	(72)
<b>ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი</b>		<b>8,429</b>	<b>(6,535)</b>	<b>1,894</b>	<b>-</b>	<b>1,894</b>
მთლიანი სრული ზარალი ნასესხები სახსრების კონვერტაცია საწესდებო კაპიტალში	10	-	(2,998)	(2,998)	-	(2,998)
		1,017	-	1,017	-	1,017
<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>		<b>9,446</b>	<b>(9,533)</b>	<b>(87)</b>	<b>-</b>	<b>(87)</b>

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**  
**2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(ათასი ლარი)*

	<i>შენიშვნა</i>	<b>2018</b>	<b>2017</b>
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
მიღებული პროცენტი		2,914	8,530
გადახდილი პროცენტი		(749)	(1,888)
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო		(122)	(79)
გადახდილი საოპერაციო ხარჯი		(1,599)	(5,370)
სხვა მიღებული შემოსავალი		154	127
გადახდილი მოგების გადასახადი		(361)	(1,270)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე</b>		<b>237</b>	<b>50</b>
<b>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში მომხმარებლებზე გაცემული სესხების წმინდა შემცირება წმინდა კლება სხვა აქტივებში</b>		<b>4,597</b>	<b>5,907</b>
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>6,031</b>	<b>6,072</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(90)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(8)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>-</b>	<b>(98)</b>
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
ამონაგები სხვა ნასესხები სახსრებიდან	10	286	3,960
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	10	(5,897)	(8,930)
გადახდილი დივიდენდები		-	(2,457)
<b>ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(5,611)</b>	<b>(7,427)</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)</b>		<b>420</b>	<b>(1,453)</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		907	2,412
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		7	(52)
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>6</b>	<b>1,334</b>	<b>907</b>

(ათასი ლარი)

## 1. ორგანიზაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „კონტინენტალ სითი კრედიტი“ (შემდგომში „კომპანია“) შეიქმნა 2012 წლის 6 მარტს საქართველოში. კომპანიას მართავს საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „სებ“) და ის თავის საქმიანობას ახორციელებს *მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ* საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიას ფლობს საქართველოს ეროვნული ბანკისგან 2012 წლის 5 მაისს მიღებულ მიკროსაფინანსო ოპერაციების ლიცენზიას ნორმით 583. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404932891.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს იპოთეკური და სალომბარდო სესხების გაცემას.

კომპანიის იურიდიული მისამართია ბელიაშვილის ქ. 145, თბილისი, საქართველო.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის პირდაპირი მფლობელია შპს „სი სი კონტინენტალ სითი კაპიტალი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომელიც კვიპროსშია რეგისტრირებული.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „სი სი კონტინენტალ სითი კაპიტალის“ 100%-იანი კონტროლის განმახორციელებელი მფლობელი ფიზიკური პირია რატი ჭელიძე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მფლობელი ფიზიკური პირები იყვნენ:

	<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>
რატი ჭელიძე	50.00%
ვიკა ბაშიროვი	16.67%
გაი ბენ-ლევ	16.67%
დავით უზარაშვილი	16.67%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>

## 2. მომზადების საფუძველი

### ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამართლიანი ღირებულებით შეფასდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც განმარტებულია ქვემოთ, სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვაში.

კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა ლარი. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათს და გავლენას:

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს (IFRS) 9 ჩანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება, 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომი ყოველწლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუანგარიშებია 2017 წლის შედარებადი ინფორმაცია ფასს (IFRS) 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ამიტომ 2017 წლის შედარებადი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად და არ ედრება 2018 წლისთვის წარმოდგენილ ინფორმაციას. ფასს (IFRS) 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები პირდაპირ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული და ისინი ქვემოთ არის მოცემული.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით, ყველა სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. ამ კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „დაკრედიტების ძირითად სქემას“, მაგალითად, ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს კონვერტაციის ჩართულ ოფციონს ან „რეგრესის უფლების არმქონე სესხები“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ინსტრუმენტები:

- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ ინსტრუმენტები, რომლებიც იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, სხვა სრულ შემოსავალში უნდა აღიარდეს, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება ბასს (IAS) 39-ის არსებული მოთხოვნებისგან.

(ბ) გაუფასურება

ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ საფუძვლიანად შეცვალა კომპანიის მიერ სესხის გაუფასურების აღრიცხვა, რადგან მან ბასს (IAS) 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით ჩანაცვალა. 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია აღრიცხავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სესხისთვის და იმ სასესხო ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ფლობაც არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით, წილობრივი ინსტრუმენტები არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. გაუფასურების დარიცხვის კომპანიისეული მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია განხილულია 22-ე შენიშვნაში. ფასს (IFRS) 9-ის გამოყენების რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განხილულია (გ) პუნქტში ქვემოთ.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

(გ) ფასს (IFRS) 9-ზე გადასვლის ეფექტი

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია ფასს (IFRS) 9-ის მიღების გავლენა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მათ შორის ბასს (IAS) 39-ის მიხედვით გაწეული საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მეთოდის ფასს (IFRS) 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ჩანაცვლების ეფექტი.

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით საბალანსო ღირებულებების და ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით გაცხადებული ნაშთების 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეჯერების შედეგი ასეთია:

	ბასს (IAS) 39-ის მიხედვით შეფასება		ხელახალი შეფასება	ფასს (IFRS) 9		
	შენიშვნა	კატეგორია	გამოსყიდული აქციების თანხა	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	გამოსყიდული აქციების თანხა	კატეგორია
<b>ფინანსური აქტივები</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	აქტივი	L&R <sup>1</sup>	907	-	907	ამორტიზებული ღირებულება
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	აქტივი	L&R	0,589	(84)	10,505	ამორტიზებული ღირებულება
სხვა ფინანსური აქტივები	აქტივი	L&R	928	-	928	ამორტიზებული ღირებულება
გადავადებული საგადასახადო აქტივი			979	12	991	
<b>სულ ფასს (IFRS) 9-ის გავლენის მქონე აქტივები</b>			<b>13,403</b>	<b>(72)</b>	<b>13,331</b>	
<b>სულ ვალდებულებები</b>			<b>13,905</b>	<b>-</b>	<b>13,905</b>	

<sup>1</sup> L&R = სესხები და მოთხოვნები.

აქტივი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ დაასკვნა, რომ ყველა ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) კრიტერიუმებს და მათი ფლობა ბიზნეს-მოდელის ფარგლებში ხდება, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობისთვის. შესაბამისად, კომპანია განაგრძობს ადრე ბასს (IAS) 39-ის საფუძველზე სესხებად და მოთხოვნებად კლასიფიცირებული და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე.

ფასს 9-ზე გადასვლის გავლენა რეზერვებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე ასეთია:

	აკუმულირებული ზარალი
საბოლოო ნაშთი ბასს (IAS) 39-ის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბერი)	(6,463)
ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება	(84)
გადავადებული გადასახადი ზემოთ განსაზღვრულთან მიმართებაში	12
<b>ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (2018 წლის 1 იანვარი)</b>	<b>(6,535)</b>
მოლიანი ცვლილება კაპიტალში ფასს (IFRS) 9-ის მიღების გამო	(72)

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია მთლიანი საწყისი სასესხო ზარალის რეზერვი ბასს (IAS) 39-ის მიხედვით და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში.

	<i>გაუფასურების რეზერვი ბასს (IAS) 39-ის საფუძველზე 2017 წლის 31 დეკემბერს</i>	<i>ხელახალი შეფასება</i>	<i>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე 2018 წლის 1 იანვარს</i>
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	1,846	84	1,930

*ფასს (IFRS) 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*

2014 წლის მაისში გამოცემული და 2016 წლის აპრილში შეცვლილი ფასს (IFRS) 15 განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების ასახვისთვის გამოიყენება. ფასს (IFRS) 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს, და ამიტომ არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, მათ შორის საპროცენტო შემოსავალზე, რომლებზეც ვრცელდება *ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“*. ამის შედეგად, კომპანიის შემოსავლის უდიდეს ნაწილზე ამ სტანდარტის მიღებას გავლენა არ აქვს.

*ფასიკ (IFRIC) 22-ის ინტერპრეტაცია „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“*

ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის თითოეული წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის ყველა წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ამ ინტერპრეტაციას გავლენა არ მოუხდენია კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2018 წლის შემდეგ ამოქმედებულ სხვა სტანდარტს ან ინტერპრეტაციას არსებითი გავლენა არ ჰქონია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

##### *პირველადი აღიარება*

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

##### *თავდაპირველი შეფასება*

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს-მოდელებზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა, გარიგების დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ თანხას.

##### *ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები*

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ მოახდინა მისი ყველა ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელების საფუძველზე, ხოლო აქტივების სახელშეკრულებო პირობები შეფასდა ქვემოთ მოცემულიდან ერთერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია მისი წარმოებული ინსტრუმენტების და სავაჭრო პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიამ შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანიამ მოახდინა მისი ფინანსური აქტივების სესხებად და მოთხოვნებად კლასიფიცირება (ამორტიზებული ღირებულება), სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში, გასაყიდად გამიზნული ან დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული (ამორტიზებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი სავაჭროდ არიან ფლობილი, წარმოადგენს წარმოებულ ინსტრუმენტებს ან თუ გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრება.

##### **ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები და მოთხოვნები**

2018 წლის 1 იანვრამდე, კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული და განსაზღვრებადი გადახდებით, რომლებიც არ იყო განთავსებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ არაწარმოებულ ფინანსური აქტივებისა:

- ▶ რომლებსაც კომპანია დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას უპირებს;
- ▶ რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანიამ განსაზღვრა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიაში;
- ▶ რომლებისთვისაც კომპანიამ შეიძლება მთლიანად არ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, რომელიც განისაზღვრა გასაყიდად გამიზნულის სახით.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები და მოთხოვნები (გაგრძელება)

2018 წლის 1 იანვრამდე სესხები და მოთხოვნები (მათ შორის ფინანსური დაწესებულებებისგან მისაღები თანხები, კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები), რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდები, და რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შედის „სესხებისა და მოთხოვნების“ კატეგორიაში. სესხებისა და მოთხოვნების შეფასება ხდებოდა ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდებოდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებისა, რადგან ასეთ დროს პროცენტის აღიარება არაარსებითი იქნებოდა.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია კლიენტებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ აქტივებს აფასებს მხოლოდ ამორტიზებული ღირებულებით, თუ დაცულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამ პირობების შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის განსაზღვრული.

#### ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანია თავის ბიზნეს-მოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესად ასახავს როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს მისი საქმიანი მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნეს მოდელი არ ფასდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე. ის შეფასებას ახდენს აგრეგირებული პორტფელების უმაღლეს დონეზე და ეფუძნება ემპირიული ფაქტორების საფუძველს, როგორც არის შემდეგი:

- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ.
- ▶ რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს მოდელის მაჩვენებლებზე (და ბიზნეს მოდელში ფლობილი ფინანსური აქტივები) და, კონკრეტულად, ამ რისკების მართვის წესი;
- ▶ როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების ანაზღაურება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშე მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- ▶ გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები კომპანიის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

ბიზნეს-მოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, ‘ყველაზე ცუდი’ და ‘სტრესული შემთხვევის’ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადები რეალიზდება ისეთი ფორმით, რომელიც განსხვავდება კომპანიის თავდაპირველი მოლოდინებისგან, კომპანია არ ცვლის ამგვარ ბიზნეს-მოდელში წარმოდგენილი დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ამის ნაცვლად ის ამგვარ ინფორმაციას იყენებს ახლად წარმოქმნილი ან ახლად შექმნილი ფინანსური აქტივების შეფასებისას.

#### SPPI-ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპის სახით, იმის განსაზღვრად, აკმაყოფილებს თუ არა ის SPPI-ტესტის მოთხოვნებს, კომპანია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს აფასებს.

ამ ტესტის მიზნებისთვის ‘ძირითადი თანხა’ განისაზღვრება ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების სახით, თავდაპირველი აღიარებისას და შესაძლოა შეიცვალოს ფინანსური აქტივის ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ ადგილი აქვს ძირითადი თანხის დაფარვას ან პრემიის/ფასდაკლების ამორტიზაციას).



(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხები და მოთხოვნები (გაგრძელება)

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად, კომპანია იყენებს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ შესაბამის ფაქტორებს, როგორც არის ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება.

შედარებისთვის, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ რისკების მინიმუმზე მეტ დაქვემდებარებას ან არასტაბილურობა ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სასესხო გარიგებებს, არ წარმოშობს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

#### რესტრუქტურისებული სესხები

თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფის საკუთრებაში მიღების ნაცვლად, კომპანია ახდენს სესხების რესტრუქტურისაციას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ შეწყვიტა ისეთი ფინანსური აქტივის აღიარება, როგორც არის კლიენტებზე გაცემული სესხი, პირობების განმეორებით შეთანხმებისას როდესაც ის არსებითად ახალი სესხი ხდებოდა, რისი სხვაობაც აღიარდება აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი შემოსულობის ან ზარალის სახით, იმ პირობით, რომ გაუფასურების ზარალი უკვე აღრიცხული იქნება. ახლად აღიარებული სესხები კლასიფიცირდება პირველი ეტაპის სახით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სანამ ახალი სესხი არ ჩაითვლება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად. იმის შეფასებისას, უნდა მოხდეს თუ არა კლიენტზე გაცემული სესხის აღიარების შეწყვეტა, კომპანია, სხვა საკითხებთან ერთად, შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს:

- ▶ სესხის ვალუტის ცვლილება;
- ▶ კონტრაჰენტის ცვლილება;
- ▶ ხომ არ იწვევს ცვლილება ინსტრუმენტის SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას.

თუ ცვლილება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, ცვლილება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ფულადი ნაკადების ცვლილების საფუძველზე, კომპანია აღრიცხავს შემოსულობის ან ზარალის ცვლილებას, რომლებიც წარმოდგენილია მოგება-ზარალში იმის გათვალისწინებით, რომ გაუფასურების ზარალი არ იქნება აღრიცხული.

ცვლილებებისთვის, რომლებიც არ იწვევს აღიარებას შეწყვეტას, კომპანია ასევე განმეორებით აფასებს ხომ არ არსებობდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში, ან აქტივები ხომ არ უნდა იყოს კლასიფიცირებული გაუფასურებულად. როდესაც ცვლილების შედეგად აქტივი გაუფასურებულად კლასიფიცირდება, ის მე-3 ეტაპზე დარჩება, სანამ კლიენტი სრულად არ დაფარავს ვადაგადაცილებულ თანხას.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება ბასს (IAS) 39-ის საფუძველზე

2018 წლის 1 იანვრამდე, ფინანსური აქტივები ფასდებოდა გაუფასურების ინდიკატორების არსებობაზე, თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს:

- ▶ ემიტენტის ან კონტრაჰენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს;
- ▶ ხელშეკრულების პირობების დარღვევას, როგორც არის ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- ▶ ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობას ან გადახდის დაგვიანებას;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარებას ფინანსური სირთულეების გამო.

სესხებისა და მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება ასევე იყოს წარსულში კომპანიის მიერ დავალიანების ამოღების გამოცდილება, პორტფელში დაგვიანებული გადახდების რაოდენობის ზრდა, ასევე ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებში მომხდარი დაკვირვებადი ცვლილებები, რომლებიც კორელაციაშია დებიტორული დავალიანების გადაუხდელობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირების გზით.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ შემცირდა გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სესხები და მოთხოვნები, რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სესხი ან დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის მოგებაში ან ზარალში შებრუნება.

#### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს. კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, ის აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას და დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სესხების და მოთხოვნების ჩამოწერა

სესხები და მოთხოვნები ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის დანაკარგებიდან, როდესაც ისინი უიმედოდ ჩაითვლება. სესხები და მოთხოვნები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ამოწურავს კომპანიის მიმართ არსებული დავალიანების ამოღების ყველა შესაძლებლობას. ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღდგენის პერიოდში ფინანსური აქტივების გაუფასურების დანარცხიდან გაქვითვის სახით.

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან როდესაც არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

#### ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც ინფორმაცია საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებული ნაღდი ფულის ნაშთს და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში, 90 დღეზე ნაკლები ან 90-დღიანი თავდაპირველი დაფარვის ვადით.

#### სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კომპანია იმ შემთხვევაში ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების თავისებურებებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ თავისებურებებს შეფასების თარიღისთვის აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გაცხადების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება ანალოგიურად განისაზღვრება.

ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასება დაყოფილია 1-ლი, მე-2 და მე-3 დონეებად იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის მათი სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მონაწილე მონაცემები დაკვირვებადი და, მთლიანობაში, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მონაცემები მათი სამართლიანი ღირებულების გასაანგარიშებლად. აღნიშნული დონეები განმარტებულია ქვემოთ.

- ▶ პირველი დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს აქტიურ ბაზრებზე კოტირებულ ფასებს (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლის შეფასებაც შეუძლია საწარმოს შეფასების თარიღში.
- ▶ მეორე დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს მონაცემებს, გარდა პირველ დონეში განსაზღვრული კოტირებული ფასებისა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის; და
- ▶ მესამე დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს აქტივისა და ვალდებულებისთვის;

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### დასაკუთრებული აქტივები

კონკრეტულ ვითარებებში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტირებული სესხების უზრუნველყოფის საგნის გამოყენების შემდეგ. კომპანია დასაკუთრებულ აქტივებს იყენებს დეფოლტირებული სესხით მართებული თანხების დაფარვის ფორმის სახით და მათ მიიჩნევს შეძენილ აქტივად და ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნულად.

დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შეძენისთვის გაწეული ფაქტიური დანახარჯების საფუძველზე, რაც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ცვეთის აღიარება ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების ან აქტივების შეფასებული ღირებულების ჩამოსაწერად, სასარგებლო გამოყენების ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად შემდეგი წლიური განაკვეთებით:

შენობა-ნაგებობები	2%
კომპიუტერები	25%
ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	25%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	20-30%
სხვა	25%

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ამორტიზაცია ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, ან იჯარის ვადაზე, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმომომხსნას და მათი ჩართვა ხდება საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების მუხლის გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში.

#### არამატერიალური აქტივები

ინდივიდუალურად შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში, აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

#### არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

#### გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი ანგარიშდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება სხვა სრული შემოსავლის ერთეულებს და პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს პარტნიორთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება აქტივის და ვალდებულების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოსაქვითი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (რომლებიც ეხება გაუნაწილებელ მოგებას) საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებობს მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

#### საოპერაციო გადასახადები

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შედის მოგება-ზარალის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

(ათასი ლარი)

### 3. საარიცხო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო მოსალოდნელია, რომ კომპანიისგან მოთხოვნილი იქნება ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გაანტირებულია ანაზღაურების მიღება და მოთხოვნის თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

#### ამონაგების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

#### საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ანგარიშობს საპროცენტო შემოსავალს სასესხო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურებული აქტივების გამოკლებით (2018 წლის 1 იანვრამდე: ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. განგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, კომპანია საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, კომპანია დაუბრუნდება საპროცენტო შემოსავლის ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

(ათასი ლარი)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

კომპანია იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან კლიენტებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

*გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო*

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება იმავე პერიოდში, როდესაც ხდება შესაბამისი შესასრულებელი მოვალეობების დაფარვა. ეს გასამრჯელოები მოიცავს საკომისიო შემოსავალს რამდენიმე მომსახურების ღირებულებიდან. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

*საოპერაციო მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო*

კლიენტის მიერ განხორციელებული ცალკე ოპერაციებიდან წარმოშობილი გასამრჯელოები აღიარდება საბაზისო ოპერაციის დასრულებისას. გასამრჯელო და გასამრჯელოს გარკვეულ შესრულების ვალდებულებასთან დაკავშირებული კომპონენტები აისახება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ.

#### უცხოური ვალუტები

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, იმ კურსებით გადაიყვანება, რომლებიც მოქმედებდა იმ თარიღით, როდესაც განისაზღვრა სამართლიანი ღირებულება. არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, არ გადაიყვანება.

წლის დასასრულის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ შემდეგი სავალუტო კურსები გამოიყენა:

	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი / 1 ევრო	3.0701	3.1044

#### უზრუნველყოფის საგანი

კლიენტის ვალდებულებასთან მიმართებაში კომპანია ისეთ უზრუნველყოფის საგანს იღებს, რომელსაც ის შესაბამისად მიიჩნევს. უზრუნველყოფის საგანი, ჩვეულებრივ, იღებს კლიენტის აქტივებზე გირაოს ფორმას და კომპანიას ანიჭებს ამგვარი აქტივების მოთხოვნის უფლებას კლიენტის არსებულ და მომავალ ვალდებულებებთან მიმართებაში.

(ათასი ლარი)

#### 4. გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სააღრიცხვო განსჯა და შეფასებებში უზუსტობის ძირითადი მიზეზები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე.

ეს შეფასებები და საბაზისო დაშვებები მუდმივად გადახედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

#### განუსაზღვრელობის შეფასება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, კომპანიის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეხედულებები და შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

#### ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით მოამზადა. ამ გადამწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

კომპანიის მიერ წლის 31 დეკემბრით დასრულებული 2018 წლის განმავლობაში გაწეულმა ზარალმა 2,998 ათასი ლარი შეადგინა, საპროცენტო შემოსავალი 64%-ით შემცირდა, ხოლო სასესხო პორტფელმა 55%-ით იკლო. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალი იყო ნეგატიური და შეადგენდა 87 ათას ლარს; შედეგად, კომპანია არღვევდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ფინანსური ბერკეტის განაკვეთს (21-ე შენიშვნა).

კომპანიის ოპერაციების შემცირება წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობის ცვლილების შედეგს. 2018 წლის სექტემბრიდან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სამომხმარებლო სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი 50%-ით განსაზღვრა. ამასთან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობების ზედამხედველობის და რეგულირების წესები, რომლებიც ადგენდნენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ შესანარჩუნებელ კონკრეტულ კოეფიციენტს.

ამ შეზღუდვების მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ კომპანიის საკრედიტო საქმიანობის მომგებიანობაზე. ამ ქმედების პასუხად, კომპანიის ხელმძღვანელობა, კონკრეტული ქმედება განახორციელა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიას გაეგრძელებინა მუშაობა ფუნქციონირებადი საწარმოს სახით. ამგვარი ქმედებები მოიცავს შემდეგს:

- ▶ კომპანიამ ეფექტურად შეაჩერა საკრედიტო საქმიანობები 2018 წლის აგვისტოდან.
- ▶ კომპანიამ განმეორებით შეათანხმა მშობელ კომპანიასთან მისი სასესხო მექანიზმები კონკრეტული ნასესხები სახსრების დაფარვის გზით, რაც განხორციელდა საწესდებო კაპიტალის ზრდით 2018 და 2019 წლებში (13 და 23-ე შენიშვნები).
- ▶ კომპანიის ხელმძღვანელობამ მშობელი კომპანიისგან მიიღო წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ ისინი გეგმავდნენ კომპანიას გაუწიოს დახმარება, რომელიც საჭირო იქნება კომპანიის მიერ უახლოეს მომავალში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გასაგრძელებლად, მინიმუმ კონსოლიდირებული ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით მშობელი კომპანია ფლობს შესაბამისი ოდენობით რესურსებს საჭიროების შემთხვევაში კომპანიისთვის ფინანსური მხარდაჭერის გასაწევად.

კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის გარე რეგულაციის პასუხად ზემოთ განსაზღვრული ქმედებების განხორციელების შემდეგ; ამასთან კომპანია შესძლებს უახლოეს მომავალში განაგრძოს არსებობა ფუნქციონირებადი საწარმოს სახით.



(ათასი ლარი)

#### 4. გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სააღრიცხვო განსჯა და შეფასებებში უზუსტობის ძირითადი მიზეზები (გაგრძელება)

##### განუსაზღვრელობის შეფასება (გაგრძელება)

##### სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიასთან მიმართებაში, საჭიროებს მსჯელობას, კერძოდ, მომავალი ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების თანხის და ვადების შეფასებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრის და საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებისას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. კომპანიის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო მოსაზრებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა;
- ▶ ასოციაციების განსაზღვრა მაკროეკონომიკურ სცენარებს და ისეთ ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის, როგორც არის მშპ-ს ზრდა, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გავლენა;
- ▶ მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური სცენარების შერჩევა ეკონომიკური ამოსავალი მონაცემებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისაღებად.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული სესხის გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,296 ათასი ლარი იყო (2017 წ.: 1,846 ათასი ლარი, შეფასებული ბასს (IAS) 39-ის საფუძველზე). დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-7 და 22-ე შენიშვნებში.

##### დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გარიგებებს აწარმოებს მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს (IFRS) 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. მსჯელობები გამოიყენება იმის განსაზღვრად, გარიგებების შეფასება ბაზარზე ხდება თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, როდესაც არ არსებობს ამგვარი გარიგებების აქტიური ბაზრები. მსჯელობის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასწარმოება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთების შესახებ მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

(ათასი ლარი)

## 5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

*ფასს (IFRS) 16 - იჯარა*

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „აბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას საბაზისო აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაცია ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

*ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ (გაგრძელება)*

მოიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-ის თანხმად არსებული პრაქტიკისგან. მოიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს (IAS) 17-ის მიხედვით და გამოიჯანავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს (IFRS)16-ით, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე - მოიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს (IAS) 17-ის საფუძველზე ხდებოდა.

კომპანია ფასს (IFRS) 16-ის მიღებას რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გეგმავს ფასს (IFRS) 16-ის თავდაპირველი გამოყენების კუმულაციური ეფექტით, რომელიც აღიარდება თავდაპირველი გამოყენების თარიღში. კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას სტანდარტი გამოიყენოს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს (IAS) 17 და ფასიკ (IFRIC) 4-ის გამოყენებით. შესაბამისად, კომპანია სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ არ განისაზღვრება იჯარად ბასს (IAS) 17 და ფასიკ (IFRIC) 4-ის გამოყენებით.

კომპანია ამ სტანდარტით შემოთავაზებულ გამონაკლისებს გამოიყენებს საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც იჯარის ვადა სრულდება თავდაპირველი გამოყენებიდან 12 თვის განმავლობაში, ასევე საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც საბაზისო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს.

კომპანია ამჟამად აფასებს ფასს (IFRS) 16-ის გავლენას, თუმცა არ მოელის მის კაპიტალზე რაიმე გავლენას სტანდარტზე გადასვლის თარიღში.

მოსალოდნელი არ არის, რომ სხვა სტანდარტებს ან ინტერპრეტაციებს, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ამოქმედებული, არსებითი გავლენა ექნება კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათასი ლარი)

## 6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	7	39
ბანკებში არსებული ნაშთები თავდაპირველი 90 დღემდე დაფარვის ვადით.	1,327	868
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ</b>	<b>1,334</b>	<b>907</b>

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განეკუთვნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პირველ ეტაპს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია. კომპანიის ნაშთები მოიცავს უმეტესად Baa (ფიტჩის სააგენტო) რეიტინგის მქონე ქართულ ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და ისინი გამოიყენება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მიზნით.

## 7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები შემდეგი პროდუქტებისგან შედგებოდა:

	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>
იპოთეკური სესხები	4,177	6,802
მიკრო-სესხები	1,657	3,277
სამომხმარებლო სესხები	994	1,519
სალომბარდო სესხები	280	837
	<b>7,108</b>	<b>12,435</b>
გამოკლებული: გაუფასურების ზარალის რეზერვი	(2,296)	(1,846)
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სულ</b>	<b>4,812</b>	<b>10,589</b>

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომხმარებლებზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში, რომლებიც დეპოზიტებით არის უზრუნველყოფილი, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებების ანალიზი მოიცავდა შემდეგს:

<i>იპოთეკური სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი</b>				
<b>2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	—	—	943	943
დაფარული აქტივები	—	—	(51)	(51)
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და მოდელისა და ამოსავალ მონაცემებში ცვლილებებზე.	—	—	443	443
დისკონტის ამორტიზაცია	—	—	33	33
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	—	—	(81)	(81)
<b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>—</b>	<b>—</b>	<b>1,287</b>	<b>1,287</b>

(ათასი ლარი)

**7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)**

<i>მიკრო-სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი</b>				
<b>2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>21</b>	<b>559</b>	<b>368</b>	<b>948</b>
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი აქტივები	2	—	—	2
დაფარული აქტივები	(13)	(147)	(2)	(162)
გაყიდული აქტივები	—	—	(669)	(669)
გადატანები მეორე ეტაპზე	(4)	4	—	—
გადატანები მესამე ეტაპზე	—	(125)	125	—
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და მოდელზე და ამოსავალ მონაცემებში ცვლილებებზე.	(6)	(147)	726	573
დისკონტის ამორტიზაცია	—	—	25	25
<b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>—</b>	<b>144</b>	<b>573</b>	<b>717</b>

<i>სამომხმარებლო და სალომხმარებლო სესხები</i>	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	<i>სულ</i>
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი</b>				
<b>2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>15</b>	<b>1</b>	<b>23</b>	<b>39</b>
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი აქტივები	101	—	—	101
დაფარული აქტივები	(9)	(1)	(1)	(11)
გადატანები მეორე ეტაპზე	(55)	55	—	—
გადატანები მესამე ეტაპზე	—	(42)	42	—
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და მოდელზე და ამოსავალ მონაცემებში ცვლილებებზე.	20	14	125	159
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	2	—	2	4
<b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>74</b>	<b>27</b>	<b>191</b>	<b>292</b>

მნიშვნელოვანი ცვლილებები სასესხო პორტფელის მთლიან საბალანსო ღირებულებაში, რომლებმაც ცვლილებები გამოიწვია ზარალის რეზერვში, იყო შემდეგი:

- ▶ მეორე ეტაპის მიკრო-სესხების პორტფელი მთლიანი საბალანსო ღირებულებით 778 ათასი ლარი.
- ▶ სასესხო პორტფელის კლება, სესხის დაგეგმილ დაფარვის და ავანსების გზით.

გაუფასურების რეზერვის ანგარიშის შედარებადი თანხები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოადგენს საკრედიტო ზარალის სარეზერვო ანგარიშს და ასახავს ბასს (IAS) 39-ის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებას:

	<i>მომხმარებლებზე გაცემული სესხები</i>
<b>2016 წლის 1 იანვარი</b>	<b>(2,355)</b>
დანარიცხი	(3,312)
<b>2016 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(5,652)</b>
დანარიცხი	(706)
სესხების განკარგვის რეზერვის აღდგენა (მე-11 შენიშვნა)	4,502
<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(1,846)</b>

(ათასი ლარი)

## 7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ ფლობდა კრედიტის ოდენობას, რომელიც ინდივიდუალურად აღემატებოდა კომპანიის კაპიტალის 10%-ს.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების 100% გაცემულია საქართველოს მოქალაქეებზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ კონცენტრაციას ერთ რეგიონში.

### მოდIFIცირებული და რესტრუქტურირებული სესხები

კომპანიამ შეწყვიტა ისეთი ფინანსური აქტივის აღიარება, როგორც არის კლიენტებზე გაცემული სესხი, პირობების განმეორებით შეთანხმებისას როდესაც ის არსებითად ახალი სესხი ხდებოდა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს მე-2 და მე-3 ეტაპის აქტივებს, რომლებიც პერიოდის განმავლობაში შეიცვალა, კომპანიის მიერ გაწეული დაკავშირებული მოდიფიცირების (ზარალით)/შემოსულობით.

	<u>2018</u>
<b>პერიოდის განმავლობაში მოდიფიცირებული სესხები</b>	
ამორტიზებული ღირებულება მოდიფიკაციამდე	3,221
მოდIFIცირებული შემოსულობა (ზარალი)	—

### სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

იპოთეკური სესხები უზრუნველყოფილია. უზრუნველყოფის საგნის ძირითადი ტიპები უმეტესად არის მიწა და სხვა უძრავი ქონება.

უზრუნველყოფის საგნის ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი მე-3 ეტაპში მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უფრო მაღალი იქნება შემდეგი ოდენობით:

	<u>2018</u>
იპოთეკური სესხები	1,535
<b>კლიენტებზე გაცემული სესხების მთლიანი გაუფასურების რეზერვი</b>	<u>1,535</u>

ქვემოთ ცხრილში თავმოყრილია კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებები, და გაანალიზებულია კომპანიის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით:

	<u>2018 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>2017 წლის 31 დეკემბერი</u>
უძრავი ქონების დაგირავებით უზრუნველყოფილი სესხები	4,177	6,801
არაუზრუნველყოფილი სესხები	2,651	4,796
სხვა უზრუნველყოფა	280	838
გამოკლებული: გაუფასურების ზარალის რეზერვი	(2,296)	(1,846)
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სულ</b>	<u>4,812</u>	<u>10,589</u>

### სესხის უზრუნველყოფა (გაგრძელება)

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიამ მიიღო არაფინანსური აქტივები, უზრუნველყოფის სახით ფლობილი ქონების დასაკუთრების გზით. 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამგვარი აქტივები 1,254 ათასი ლარის და 1,748 ათასი ლარის ოდენობით (მე-9 შენიშვნა), შესაბამისად, შესულია სხვა აქტივების კატეგორიაში.

(ათასი ლარი)

## 8. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებში შედის:

	შენიშნა- ნაგებობები	კომპიუტერები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სხვა	სულ
<b>თვითღირებულებით</b>							
<b>2016 წლის</b>							
31 დეკემბერი	-	152	333	62	234	93	874
შესყიდვები	-	26	62	2	-	-	90
გასვლები	-	(19)	-	(3)	(59)	-	(81)
<b>2017 წლის</b>							
31 დეკემბერი	-	159	395	61	175	93	883
შესყიდვები	-	5	-	-	-	-	5
გადატანები	165	-	-	-	-	-	165
გასვლები	-	(11)	-	(3)	-	-	(14)
<b>2018 წლის</b>							
31 დეკემბერი	165	153	395	58	175	93	1039
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
<b>2016 წლის</b>							
31 დეკემბერი	-	79	102	48	181	84	494
ცვეთის დანარიცხი	-	32	76	9	53	6	176
გასხვისებისას აღმოფხვრილი	-	(9)	-	(3)	(59)	-	(71)
<b>2017 წლის</b>							
31 დეკემბერი	-	102	178	54	175	90	599
ცვეთის დანარიცხი	2	31	74	3	-	-	110
გასხვისებისას აღმოფხვრილი	-	(10)	-	(2)	-	-	(12)
<b>2018 წლის</b>							
31 დეკემბერი	2	123	252	55	175	90	697
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>							
<b>2017 წლის</b>							
31 დეკემბრის მდგომარეობით	-	57	217	7	-	3	284
<b>2018 წლის</b>							
31 დეკემბრის მდგომარეობით	163	30	143	3	-	3	342

2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითად საშუალებებში შედიოდა სრულად გაცვეთილი აქტივები, შესაბამისად, 387 ათასი და 385 ათასი ლარის ოდენობით.

(ათასი ლარი)

## 9. სხვა აქტივები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>		
დებიტორული დავალიანება	333	3,919
გაუფასურების ზარალის რეზერვი	—	(2,991)
<b>სულ სხვა ფინანსური აქტივები</b>	<b>333</b>	<b>928</b>
<b>სხვა არაფინანსური აქტივები</b>		
დასაკუთრებული აქტივები	1,254	1,748
საინვესტიციო ქონება	128	347
გადახდილი ავანსები	29	70
სხვა	—	3
<b>სულ სხვა არაფინანსური აქტივები</b>	<b>1,411</b>	<b>2,168</b>
<b>სხვა აქტივები, სულ</b>	<b>1,744</b>	<b>3,096</b>

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დებიტორული დავალიანება მოიცავდა პირველი ეტაპის მოთხოვნებს შპს „ფინსეკის“ მიმართ (მე-11 შენიშვნა) 223 ათასი ლარის ოდენობით (2018 წლის 1 იანვარს: 3,776 ათასი ლარი მე-3 ეტაპში).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო (2018 წლის 1 იანვარი: 2,991 ათასი). დებიტორული დავალიანების მთლიან საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც გამოიწვია პერიოდის განმავლობაში შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება შეადგენდა 2,991 ათასი ლარის ოდენობით ამოუღებელი თანხების ჩამოწერას.

სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვის დინამიკა ასეთი იყო:

	<i>სხვა ფინანსური აქტივები</i>
<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>—</b>
დანარიცხი	2,991
<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>(2,991)</b>
ჩამოწერები	2,991
<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>—</b>

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაკუთრებული აქტივები მოიცავდა მიწას და შენობა-ნაგებობებს 1,254 ათასი ლარის და 1,748 ათასი ლარის ოდენობით (შესაბამისად), რაც შეფასდა მის თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 755 ათასი და 500 ათასი ლარის ღირებულებს დასაკუთრებული აქტივები დაგირავებული იყო ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

(ათასი ლარი)

## 10. ნასესხები სახსრები

ნასესხებ სახსრებში შედის:

	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>
<b>გრძელვადიანი ნასესხები სახსრები</b>		
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები	594	1,063
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	1,641	-
<b>სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები</b>	<b>2,235</b>	<b>1,063</b>
<b>მოკლევადიანი ნასესხები სახსრები</b>		
ფიზიკური პირებისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	-	6,337
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები	129	181
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	5,798	-
<b>სულ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები</b>	<b>5,927</b>	<b>6,518</b>
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>	<b>8,162</b>	<b>7,581</b>

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბერს (შესაბამისად) კომპანიის მშობელმა კომპანიამ მიიღო კომპანიაზე 1,017 ათასი ლარის და 3,629 ათასი ლარის ოდენობით გაცემული სესხების დაფარვის გადაწყვეტილება კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდის გზით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუფარავი ნასესხები თანხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

	<i>ვალუტა</i>	<i>ნომინალური საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>ვადის ამოწურვის წელი</i>	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები	აშშ დოლარი	10%	2023	723
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	აშშ დოლარი	5%-9%	2019-2023	7,439
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>				<b>8,162</b>

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფის გარეშე, საბალანსო ღირებულებით 1.960 ათასი ლარი კონვერტირებადია კომპანიის საწესდებო კაპიტალში, ნებისმიერ დროს, მათი სახელმწიფო დაფარვის ვადების ფარგლებში, კრედიტორის შეხედულებისამებრ. ბასს (IAS) 32-ის (ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა) მოთხოვნების ფარგლებში, კაპიტალის არცერთი კომპონენტი არ აღიარებულა ამ კონვერტირებად ინსტრუმენტებთან მიმართებაში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუფარავი ნასესხები თანხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

	<i>ვალუტა</i>	<i>ნომინალური საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>ვადის ამოწურვის წელი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	აშშ დოლარი	7%-13%	მოთხოვნამდე	6,337
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები	აშშ დოლარი	9%-10%	2021	1,244
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>				<b>7,581</b>



(ათასი ლარი)

## 10. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია ცვლილებები კომპანიის სხვა ნასესხებ სახსრებში, რომლებიც წარმოშობილია ფინანსური საქმიანობებიდან, მათ შორის ფულადი და არაფულადი დარიცხვები. ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილი ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლისთვისაც ფულადი ნაკადები კლასიფიცირებული იყო ან მომავალი ფულადი ნაკადები კლასიფიცირებული იქნება კომპანიის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობებიდან მიღებული ფულადი ნაკადების სახით.

	<i>სესხის გაყიდვის ხელშეკ- რულების ცვლილები- სას</i>							
	<i>აღიარებულ ი ნასესხები</i>	<i>ანგარიშ- სწორება</i>						
	<i>მიღებული ფულადი 2018 წლის 1 იანვარი</i>	<i>გადახდილი ფულადი სახსრები</i>	<i>სახსრები (მე-11 შენიშვნა)</i>	<i>კაპიტალით ანგარიშ- სწორება (მე-13 შენიშვნა)</i>	<i>ცვლილება დარიცხულ ვალუტის კონვერტაცია</i>	<i>ვალუტის კონვერტაცია</i>	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>	
ნასესხები სახსრები	7,581	286	(5,897)	6,853	(1,017)	(16)	372	8,162

	<i>გადასახ- დელო დივიდენ- დების</i>				<i>სხვა მხარზე გადაცემუ ლი ნასესხები</i>				
	<i>მიღებული ფულადი 2017 წლის 1 იანვარი</i>	<i>გადახდილი ფულადი სახსრები</i>	<i>ანგარიშგება ნასესხებ თანხებში</i>	<i>ანგარიშ- სწორება კაპიტალით შენიშვნა)</i>	<i>სახსრები (მე-13 შენიშვნა)</i>	<i>ცვლილება დარიცხულ ვალუტის კონვერტა- ცია</i>	<i>ვალუტის კონვერტა- ცია</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>	
ნასესხები სახსრები	23,105	-	(4,970)	1,233	(3,629)	(6,545)	(177)	(1,436)	7,581

## 11. ანარიცხები

მე-4 შენიშვნის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ახალი რეგულაციების დაწესებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა კომპანიის საკრედიტო საქმიანობებზე. 2017 წელს, კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება გაემლიერებინა მისი სესხების ანდერაიტული პოლიტიკები და გასულიყო ვადაგადაცილებული სასესხო პორტფელიდან ამ უკანასკნელის გაზრდის მიზნით.

ცვლილებამ საკანონმდებლო სტრუქტურაში წარმოქმნა შესაძლებლობები სესხის ამომღები კომპანიებისთვის. ამის საფუძველზე 2017 წლის ივლისის თვეში შეიქმნა შპს „ფინსევი“, სესხის ამომღების ინდუსტრიაში ექსპერტების გზით. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიმართა შპს „ფინსევის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას ვადაგადაცილებული სასესხო პორტფელის გაყიდვის ოპერაციებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმოების და კომპანიისგან სესხის ამომღების ვალდებულების კისრების მიზნით. ამავდროულად, შპს „ფინსეკს“ ჰქონდა მსგავსი მოლაპარაკებები სხვა კრედიტორებთან, სესხის ამომღების ხარჯების ეფექტურად მართვის მიზნით.

2017 წლის 9 ივლისს შპს „სისი ლოუნმა“ ორი ხელშეკრულება („ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება“) გააფორმა შპს „ფინსეკთან“ მისი საექვო სასესხო პორტფელის ნაწილის გაყიდვის მიზნით. გაყიდულ აქტივებთან დაკავშირებით შეთანხმებული მთლიანმა საზღაურმა შეადგინა 10,083 ათასი ლარი, რომელიც გაყიდული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულების ტოლი იყო. გაყიდვის თარიღის მდგომარეობით, გაყიდული სესხების მთლიანმა საბალანსო ღირებულებამ 5,581 ათასი ლარი შეადგინა. 4,502 ათასი ლარი, სხვაობა გასაყიდ ღირებულებასა და წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის აღრიცხულია გაუფასურების ზარალის აღდგენის სახით (იხილეთ მე-7 შენიშვნა).

(ათასი ლარი)

## 11. ანარიცხები (გაგრძელება)

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების #1 საფუძველზე, ჯგუფმა გაყიდა სასესხო პორტფელი მთლიანი საბალანსო ღირებულებით 8,428 ათასი ლარის ოდენობით, იგივე ოდენობით საზღაურის სანაცვლოდ. მისაღები საზღაური შემდეგ ნაკადებად გაიყო: სესხების სანაცვლოდ, შპს „ფინსეკმა“ იკისრა ვალდებულებები (კომპანიის ნასესხები სახსრები) 7,851 ათასი ლარის ოდენობით („არაფულადი საზღაური“) და დარჩენილი საზღაური 577 ათასი ლარის ოდენობით („ფულადი საზღაური“), რომელიც დაიფარება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 5 თვის განმავლობაში.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების #2 საფუძველზე, ჯგუფმა გაყიდა სასესხო პორტფელი მთლიანი საბალანსო ღირებულებით 1,655 ათასი ლარის ოდენობით, იგივე ოდენობით საზღაურის სანაცვლოდ. მისაღები საზღაური უნდა დაფარულიყო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების #2 გაფორმების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

2017 წლის სექტემბერში ჯგუფმა გააფორმა დამატებითი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება #3, 221 ათასი ლარის ოდენობით მთლიანი სასესხო პორტფელის გაყიდვის თაობაზე, მისაღები ფულადი საზღაურის ტოლი ოდენობით.

2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ შეცვალა #1 ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პირობები, რამაც 7,851 ათასი ლარის ოდენობით არაფულადი საზღაურის 6,545 ათას ლარამდე შემცირება გამოიწვია, მისაღებ ფულად საზღაურში. კომპანიამ გადაცემული ვალდებულება 1,306 ათასი ლარის ოდენობით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგება ალიარა ნასესხები სახსრების სახით, #1 ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების განმეორებით შეთანხმება მიიჩნია გაუფასურების ტრიგერად და 2,991 ათასი ლარი ალიარა შპს „ფინსეკის“ მიმართ მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის სახით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (მე-8 შენიშვნა).

2018 წლის იანვარში, ყიდვა-გაყიდვის ყველა ხელშეკრულება შეიცვალა, გაყიდული სასესხო პორტფელების ფასის ცვლილების მიზნით. გარიგების განმეორებით შეთანხმებულმა ფასმა შეადგინა 768 ათასი ლარი, რომელიც უნდა დაფარულიყო 12 თვის განმავლობაში, ხოლო არაფულადი საზღაურები გაუქმდა. ამ ცვლილების შედეგად, კომპანიამ ალიარა 6,853 ათასი ლარის ოდენობით ნასესხები სახსრები და რეზერვზე ჩამოწერა შპს „ფინსეკის“ მიმართ არსებული მოთხოვნა 2,991 ათასი ლარის ოდენობით.

კომპანიის ხელმძღვანელობამ წლის დასრულებამდე შეაფასა და დარწმუნდა, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები გაუქმდებოდა და ალიარა ვალდებულების ანარიცხი, სხვაობა განმეორებით შეფასებულ საბაზრო ფასსა და სესხების ადრე შეთანხმებულ ფასს შორის, 5,939 ათასი ლარის ოდენობით მოგებაში ან ზარალში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2018 წლის იანვარში, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების ცვლილების შემდეგ, კომპანიამ ასევე ალიარა დამატებითი ანარიცხი მოგებაში ან ზარალში 914 ათასი ლარის ოდენობით, ნავარაუდები ნასესხები თანხების სამართლიან ღირებულებასა და ანარიცხის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის სახით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე შეწყვიტა შესაბამისი ანარიცხის აღიარება.

მოძრაობა სხვა ფინანსური აქტივების ანარიცხებში და რეზერვებში ასეთი იყო:

	<i>სხვა ფინანსური აქტივები (მე-9 შენიშვნა)</i>		<i>სხვა ანარიცხები</i>
<b>2016 წლის 31 დეკემბერი</b>	-	-	-
დანარიცხი	(2,991)	(5,939)	-
	<b>(2,991)</b>	<b>(5,939)</b>	-
<b>2017 წლის 31 დეკემბერი</b>	-	(914)	-
დანარიცხი	-	(914)	-
ჩამოწერები	2,991	6,853	-
	<b>2,991</b>	<b>6,853</b>	-
<b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>	-	-	-

(ათასი ლარი)

## 12. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს კრედიტორულ დავალიანებას 280 ათასი ლარის ოდენობით (2017 წლის 31 დეკემბერი: 179 ათასი ლარი).

## 13. საწესდებო კაპიტალი და მარაგები

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი გადახდილი საწესდებო კაპიტალი, შესაბამისად შეადგენდა 9,446 ათას ლარს და 8,429 ათას ლარს.

როგორც მე-10 შენიშვნაში აღინიშნა, 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მშობელმა კომპანიამ მიიღო კონკრეტული სესხების დაფარვის გადაწყვეტილება 1.017 ათასი ლარის და 3,629 ათასი ლარის ოდენობით (შესაბამისად) კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდის გზით.

კომპანიის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და კომპანიის აქციონერთა კრებებზე აქვთ ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც კომპანიის ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული.

2018 წელს კომპანიას დივიდენდები არ გაუნაწილები. 2017 წელს გამოცხადდა და დაიფარა 3,690 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები.

## 14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მომხმარებლებზე გაცემული სესხები	2,759	7,558
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	9	26
<b>ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული მთლიანი საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>2,768</b>	<b>7,584</b>
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი		
ნასესხები სახსრები	(736)	(1,711)
სულ საპროცენტო ხარჯი	(736)	(1,711)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის განცდამდე პროცენტთან აქტივებზე</b>	<b>2,032</b>	<b>5,873</b>

## 15. სხვა შემოსავალი

	<i>2018</i>	<i>2017</i>
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	74	88
სხვა შემოსავალი	80	200
<b>სხვა შემოსავლები, სულ</b>	<b>154</b>	<b>288</b>

(ათასი ლარი)

## 16. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	<i>2018</i>	<i>2017</i>
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	829	2,797
იჯარა	242	443
პროფესიული მომსახურება	241	272
ცვეთა და ამორტიზაცია	110	193
მარკეტინგი და რეკლამა	11	188
კომუნალური მომსახურებები და კავშირგაბმულობა	103	156
სხვა ხარჯები	278	676
<b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>	<b>1,814</b>	<b>4,725</b>

### აუდიტორის გასამრჯელო

პროფესიონალური მომსახურების ხარჯები მოიცავს აუდიტორის ანაზღაურებას. კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება კომპანიის 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის შეადგენდა 65 ათას ლარს და 114 ათას ლარს, შესაბამისად.

## 17. მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადის მიმდინარე დავალიანებას და მის საგადასახადო ბაზებს აფასებს და აღრიცხავს თავის აქტივებსა და ვალდებულებებში საგადასახადო ნორმების თანახმად, რომლებიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ფასს-ისგან.

კომპანია ექვემდებარება გარკვეულ მუდმივ საგადასახადო სხვაობებს იმის გამო, რომ გარკვეული ხარჯები გადასახადის მიზნებისთვის არ იქვითება და ასევე კონკრეტული შემოსავლის დაუბეგრავი რეჟიმის მიზეზით.

გადავადებული გადასახადები ასახავს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და გადასახადის მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტს. დროებითი სხვაობები უმეტესად უკავშირდება შემოსავლის და ხარჯის აღიარების განსხვავებულ მეთოდებს, ასევე კონკრეტული აქტივების და ვალდებულებების აღრიცხულ ღირებულებებს.

ქვემოთ, შეჯერებისთვის გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-იან კორპორატიულ საგადასახადო განაკვეთს, რომელსაც საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად იხდიან დასაბეგრ მოგებაზე იურიდიული პირები.

მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები) დროებით სხვაობებზე 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	113	245
ძირითადი საშუალებები	(42)	(33)
არამატერიალური აქტივები	-	15
ნასესხები სახსრები	-	3
სხვა აქტივები	-	397
სხვა ვალდებულებები	-	(6)
ანარიცხები	-	891
<b>გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი</b>	<b>71</b>	<b>1,511</b>
აულიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივები	(71)	(533)
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>-</b>	<b>979</b>

(ათასი ლარი)

## 17. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2018	2017
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი	37	309
დროებითი სხვაობების წარმოქმნასა და აღდგენასთან დაკავშირებული გადავადებული დაბეგვრის ხარჯი	991	(221)
<b>სულ მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>1,028</b>	<b>88</b>

კომპანიის მოგება იბეგრება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შეეჯერებულია გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	2018	2017
<b>ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე</b>	<b>(1,970)</b>	<b>(3,124)</b>
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
<b>თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით</b>	<b>(295)</b>	<b>(469)</b>
გამოუქვითავი ხარჯები	35	24
ცვლილებები საგადასახადო ბაზაში (ა)	1,288	
ცვლილება საგადასახადო რეგულაციებში (ბ)	-	533
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>1,028</b>	<b>88</b>

- (ა) 2018 წელს, ხელმძღვანელობამ განმეორებით შეაფასა სხვა აქტივების და ანარიცხების საგადასახადო ბაზა და დაასკვნა, რომ მათთან მიმართებაში გამოსაქვით დროებით სხვაობას ადგილი არ ჰქონია.
- (ბ) 2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წელს თარიღი 2023 წლის 1 იანვრით შეიცვალა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩათვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, კომპანიამ თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება. ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“ მოითხოვს, რომ კომპანიამ გამოიყენოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებაში, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია პერიოდში, როდესაც ახალი რეგულაცია ძალაში შევა, 2023 წლის 1 იანვრიდან (2017 წლის 31 დეკემბერი: 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული გადასახადის შეფასების მიზნით. შესაბამისად, კომპანიას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ უღიარებია გადავადებული საგადასახადო აქტივი 533 ლარის ოდენობით, რომელიც უკავშირდებოდა დროებით სხვაობებს, რომელთა დარეზერვებაც 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ იყო მოსალოდნელი.

(ათასი ლარი)

## 17. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის გადავადებული საგადასახადო აქტივების ანაზღაურებადობა 2023 წლის 1 იანვრამდე და დაასკვნა, რომ ხელმისაწვდომი არ იქნება მომავალში დასაბეგრი მოგება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას გადავადებული საგადასახადო აქტივი. შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო აქტივი არ აღიარებულა.

## 18. პირობითი ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კონტრაქტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, კომპანია არის ბალანსური რისკის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების მხარე. ეს ინსტრუმენტები, რომლებსაც სხვადასხვა დონის საკრედიტო რისკი ახასიათებთ, ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### იურიდიული

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიძვრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

### გადასახადები

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში, სადაც ეს რისკი მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების მოსაზრება კომპანიის ინტერპრეტაციისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი მოსაზრების დამტკიცებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, სამი წელია გასული.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოქმედ კანონმდებლობას სათანადოდ განმარტავს და რომ კომპანია შეინარჩუნებს არსებულ საგადასახადო სტატუსს.

## 19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედის მშობელი კომპანია და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრები.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

(ათასი ლარი)

**19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

	2018 წლის 31 დეკემბერი		2017 წლის 31 დეკემბერი	
	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური დაკავშირებული მხარის ნაშთები	ანგარიშგების მიხედვით	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური დაკავშირებული მხარის ნაშთები	ანგარიშგების მიხედვით
ნასესხები სახსრები	7,439	8,162	-	7,581
- მშობელი კომპანია	7,439	-	-	-
სხვა ვალდებულებები	97	280	-	170
- მშობელი კომპანია	97	-	-	-

ღირექტორების და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება იყო შემდეგი:

	2018 წლის 31 დეკემბერი		2017 წლის 31 დეკემბერი	
	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	ული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	ული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
სულ ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ანაზღაურება	141	829	798	2,797
- დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები				

**სულ ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ანაზღაურება**

- დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შედის შემდეგი თანხები, რომლებიც აღიარებულია დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების ფარგლებში:

	2018 წლის 31 დეკემბერი		2017 წლის 31 დეკემბერი	
	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	ული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	ული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო ხარჯი	619	736	(236)	(1,711)
- მშობელი კომპანია	619	-	(236)	-

(ათასი ლარი)

## 20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფასს სამართლიან ღირებულებას განმარტავს, როგორც თანხას, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის.

კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით. თუმცა, სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველოს კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს. ხელმძღვანელობა ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც მუდმივად არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით (თუმცა მოთხოვნილია განმარტებითი შენიშვნები სამართლიანი ღირებულების შესახებ)

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები** – ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, რომელიც მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან არის მიახლოებული.

**სხვა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები** – სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უმეტესად მოიცავს მოკლევადიან მოთხოვნებს და ვალდებულებებს, შესაბამისად საბალანსო ღირებულება მიიჩნევა მათი სამართლიანი ღირებულების გონივრულ შეფასებად.

**კლიენტებზე გაცემული სესხები და ნასესხები სახსრები** - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალში მოსალოდნელი მისაღები/გადახდილი საპროცენტო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის დაფარვის ვადაზე და კონტრაქტის საკრედიტო რისკზე. მოთხოვნის ფუნქციის მონე ვალდებულებებისთვის სამართლიანი ღირებულება ნომინალური ღირებულების ტოლი ოდენობით განისაზღვრა.

კომპანიამ შეაფასა კლიენტებზე გაცემული სესხების და ნასესხები სახსრების საბალანსო ღირებულება და ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულების შედარებით მოკლე ვადა საბალანსო ღირებულებას მიუახლოვდა.

	<i>სამართლიანი ღირებულება</i>		<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>		<i>2017 წლის 31 დეკემბერი</i>	
	<i>იერარქია</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>	<i>სამართლიანი ღირებულება</i>		<i>სამართლიანი ღირებულება</i>	
			<i>საბალანსო ღირებულება</i>	<i>სამართლიანი ღირებულება</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>	<i>სამართლიანი ღირებულება</i>
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	3	4,812	4,812	10,589	10,589	
ნასესხები სახსრები	3	8,162	8,162	7,581	7,581	



(ათასი ლარი)

## 21. კაპიტალის მართვა

კაპიტალის შენარჩუნებისას კომპანიის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, ისეთი ფორმით, რომ მან გააგრძელოს მშობელი კომპანიისთვის უკუგების შექმნა; და
- ▶ მშობელი კომპანიის ადეკვატური ამონაგების უზრუნველყოფა რისკის დონის შესაბამისი ფასწარმოქმნის მომსახურებებით.
- ▶ საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის რაოდენობას, რომელსაც ის რისკის პროპორციულად მოითხოვს. კომპანია თავის კაპიტალის სტრუქტურას მართავს და მასში კორექტირებები შეაქვს ეკონომიკური პირობების ცვლილების და საბაზისო აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა შეცვალოს მშობელი კომპანიისთვის გადახდილი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მშობელ კომპანიას ან გაყიდოს აქტივები, ვალის შესამცირებლად.

- ▶ მე-4 შენიშვნის შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არღვევდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ფინანსური ბერკეტის განაკვეთს.

	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>
სულ კაპიტალი	(87)
სულ აქტივები	8,355
<b>ფინანსური ბერკეტის განაკვეთი</b>	<b>(1.04)%</b>
მინიმალური მოთხოვნა	16%

2019 წლის ივნისში კომპანიამ შეამსუბუქა დარღვევა 1,999 ათასი ლარის ოდენობით ნასესხები სახსრების საწესდებო კაპიტალად კონვერტირების გზით (23-ე შენიშვნა).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობს საქართველოს ეროვნული ბანკის მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნილ ოდენობას - კაპიტალში განხორციელებული მინიმალური ფულადი შენატანი არ არის 500 ათას ლარზე ნაკლები.

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკის მართვა კომპანიის ბიზნესის ფუნდამენტალური ფაქტორია და ის მისი ოპერაციების არსებითი ელემენტია. კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- ▶ საკრედიტო რისკი;
- ▶ ლიკვიდურობის რისკი;
- ▶ საბაზრო რისკი;
- ▶ საოპერაციო რისკი;

მაღალი მაჩვენებლის რისკების პოლიტიკის მიღებისა და გამოყენების მიზნით, კომპანიამ დანერგა რისკების მართვის სტრუქტურა, რომლის მთავარი მიზანია კომპანიის დაცვა რისკის მიუღებელი დონისგან და კომპანიის მიერ დაგეგმილი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა. რისკის მართვის სისტემის მეშვეობით კომპანია შემდეგ რისკებს მართავს:

(ათასი ლარი)

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

როგორც მე-4 შენიშვნაში აღინიშნა, 2018 წელს კომპანიამ შეაჩერა საკრედიტო საქმიანობები. საკრედიტო რისკის მართვის ქვემოთ აღწერილი პროცედურები ეხება შეჩერებამდე პერიოდებს.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდებოდა წინასწარ განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. ეს პროცესები ჩაატარა საკრედიტო კომიტეტებმა და კომპანიის დირექტორთა საბჭომ. საკრედიტო კომიტეტის მიერ რაიმე სახის განცხადების გაკეთებამდე, სათაო ოფისის რისკების მართვის დეპარტამენტმა განიხილა და დაამტკიცა ყველა საკრედიტო რეკომენდაცია (მსესხებლის დადგენილი ლიმიტები ან სასესხო ხელშეკრულებების ცვლილებები და სხვ.). რისკების ყოველდღიური მართვა ჩაატარა საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

კომპანიამ განსაზღვრა საკრედიტო რისკის დონე, რომელსაც ის განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით, რომელიც მზად არის მიიღოს ცალკეულ მსესხებელზე ან მსესხებლების ჯგუფზე ან ცალკეულ დარგობრივ სეგმენტზე. მსესხებლის საკრედიტო რისკის ზღვრები მტკიცდება დირექტორთა საბჭოს მიერ. ამ ლიმიტების ფარგლებში დავალიანების მონიტორინგი რეგულარულად წარმოებს.

### გაუფასურების შეფასება

კომპანიამ მიიღო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოთ ხსენებული პროცესის საფუძველზე, კომპანიამ მისი ფინანსური აქტივები პირველ, მეორე და მესამე ეტაპებში გააერთიანა, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი:

პირველი ეტაპი	როდესაც ფინანსური აქტივები პირველად აღიარდება, კომპანია რეზერვს აღიარებს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. პირველი ეტაპის ფინანსური აქტივები ასევე მოიცავს ობიექტებს, სადაც საკრედიტო რისკი შემცირდა, ხოლო ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია მეორე ეტაპიდან.
მეორე ეტაპი	როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე ეტაპი მოიცავს იპოთეკურ, სამომხმარებლო და სალომზარდო სესხებს, 31-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით და მიკრო-სესხებს - 15-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით. მეორე ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია ისეთი ფორმით, რომ სესხი მეტი აღარ არის გაუფასურებული და თავად სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან.
მესამე ეტაპი	სესხები, რომლებიც გაუფასურებულად მიიჩნევა. მესამე ეტაპი მოიცავს იპოთეკურ, სამომხმარებლო და სალომზარდო სესხებს 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით და მიკრო-სესხებს 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით. კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტს დეფოლტირებულად მიიჩნევს და შესაბამისად მას მესამე ეტაპში აღრიცხავს (გაუფასურებული) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისთვის, კორპორატიული საიჯარო პორტფელის და საცალო საიჯარო პორტფელის შემთხვევაში, როცა მსესხებელს ექნება 90- და 30-დღიანი ვადაგადაცილება (შესაბამისად), კონტრაქტთან სახელშეკრულებო გადახდებზე, სულ მცირე ერთი ოპერაციისთვის, ან როდესაც არსებობს გაუფასურების სხვა მაჩვენებლები იპოთეკური, სამომხმარებლო და სალომზარდო სესხების, ასევე 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე მიკრო-სესხებისთვის.

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს კოლექტიურ საფუძველზე, ფინანსური აქტივის ყველა კლასისთვის, რომელსაც ის აჯგუფებს ერთგვაროვანულ პორტფელებად, აქტივების შიდა და გარე მახასიათებლების კომბინაციის საფუძველზე.

(ათასი ლარი)

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი ელემენტები მოცემულია ქვემოთ:

PD	დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს დეფოლტის წარმოშობის ალბათობის შეფასებით მოცემული დროითი ინტერვალის განმავლობაში და ის განისაზღვრება რისკ-სეგმენტის და ვადაგადაცილების ჯგუფის საფუძველზე, შესაბამისი პერიოდისთვის (ინსტრუმენტის 12 თვეში ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი დეფოლტის ალბათობა). მაჩვენებლები განისაზღვრება შიდა სტატისტიკის საფუძველზე, მიგრაციის მატრიცის გამოყენებით). მაკროეკონომიკურ ვითარებაში მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებები გამოიყენება საპროგნოზო ინფორმაციის სახით. დეფოლტი შეიძლება დადგეს შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში, თუ ფინანსური აქტივის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.
EAD	დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება რისკს ქვეშ მყოფი აქტივების თანხა წარმოადგენს ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის შეფასებას.
LGD	დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის იმ წარმოშობილი ზარალის დონე, რომელიც წარმოიქმნება ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში და რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას (დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით). დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლებსაც კომპანია იღებს და რომლის მიღებასაც მოელის, აქტივის სარეალიზაციო ხარჯის გათვალისწინებით. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ღირებულება განისაზღვრება შიდა სტატისტიკების საფუძველზე შემუშავებული მოდელების გამოყენებით.

### დეფოლტის განმარტება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტს გადაუხდელად და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად, მე-3 საფეხურზე მყოფად (გაუფასურებლად) მიიჩნევს ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელი 90 დღით დააგვიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას. ამასთან, კომპანია ითვალისწინებს დეფოლტზე მეტყველ შემდეგ ფაქტორებს:

- ▶ საკრედიტო რისკი წარმოიშვა 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე იპოთეკური, სამომხმარებლო და სალომზარდო სესხებისთვის;
- ▶ საკრედიტო რისკი წარმოიშვა 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე მიკრო-სესხებისთვის;
- ▶ ინიცირებულ იქნა მსესხებლის გაკოტრებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება;
- ▶ კომპანიამ წამოიწყო სასამართლო სამართალწარმოება მსესხებლის წინააღმდეგ;
- ▶ ვალდებულების ან პირობების დარღვევა, თუ კომპანია არ მიიღებს გადაწყვეტილებას ამგვარი ვალდებულების ან პირობის ცვლილების შესახებ;
- ▶ კლიენტის საქმიანობის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია ან ცვლილება კლიენტის ბაზრის გარემოში, რომელსაც სავარაუდოდ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ექნება მომავალ ფულად ნაკადებზე.

კომპანია ზანკების მიმართ არსებულ თანხებს მიიჩნევს გადაუხდელად და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება საქმიანობის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად.

(ათასი ლარი)

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

#### დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი

დეფოლტის ალბათობის შეფასება წარმოადგენს კონკრეტულ თარიღში განხორციელებულ შეფასებას, რომელიც დაანგარიშდება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. დეფოლტის ალბათობის დაანგარიშების მიზნით, სასესხო პორტფელი იყოფა (თითოეული ინდივიდუალური პროდუქტის სეგმენტით) ვადაგადაცილებულ ჩამჩვებში, შემდეგი სახით:

- ▶ პირველი ეტაპი - ვადაგადაუცილებელი სესხები;
- ▶ პირველი ეტაპი - სესხები 1-დან 30 დღემდე ვადაგადაცილებით (მიკრო-სესხები - 1-15 დღე);
- ▶ პირველი ეტაპი - რესტრუქტურისებული სესხები 90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით (R1);
- ▶ მეორე ეტაპი - სესხები 31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებით (მიკრო-სესხები - 16-30 დღე);
- ▶ მეორე ეტაპი - სესხები 61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით;
- ▶ მეორე ეტაპი - რესტრუქტურისებული სესხები 90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით (R1);
- ▶ მესამე ეტაპი - სესხები 90-ზე მეტ დღიანი ვადაგადაცილებით, დეფოლტირებული სესხები (მიკრო-სესხები - 61 დღეზე მეტი);
- ▶ მესამე ეტაპი - რესტრუქტურისებული სესხები 90-ზე მეტ დღიანი ვადაგადაცილებით (R2).

თუ ადგილი ექნება კონტრაქტს ან დაქვემდებარების ჩამჩვებს შორის მიგრირებას, ეს გამოიწვევს დაკავშირებული დეფოლტის ალბათობის შეფასების ცვლილებას. დეფოლტის ალბათობები დაანგარიშდება ორწლიანი საშუალო ვადის საფუძველზე და შემდეგ დეფოლტის ალბათობის მიგრაციის პროცენტულობის მატრიცა ანალიზის პერიოდით გაშუალდდება.

#### საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს მის ორივე შეფასებაში იმისა, ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი შეფასების შემდეგ და ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში.

კომპანიამ მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი დრავირების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება პორტფელისთვის განვლილი მონაცემების ანალიზის გამოყენებით. კომპანიამ შეაფასა მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენა დეფოლტის ალბათობაზე და ანაზღაურების განაკვეთზე. ანალიზში გამოყენებული იყო შემდეგი მაკრო-ეკონომიკური ცვლადი მონაცემები:

- ▶ საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი
- ▶ ინფლაციის ტემპი;
- ▶ სავალუტო კურსები.

საპროგნოზო ურთიერთობები მნიშვნელოვან ინდიკატორებს და დეფოლტისა და ზარალის განაკვეთებს შორის ფინანსური აქტივების სხვადასხვა პორტფელებზე შემუშავდა განვლილი 2 წლის განმავლობაში განვლილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე. გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულარულად გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური ფაქტორები. ამ ანალიზის საფუძველზე კომპანიამ გამოავლინა პორტფელის დეფოლტირების დამოკიდებულება საქართველოს მშპ-ს ზრდის რეალურ განაკვეთზე.

<i>მნიშვნელოვანი დრავირები</i>	<i>2019</i>	<i>2020</i>	<i>2021</i>
<b>მშპ-ის ზრდა, %</b>			
აღმავალი (25%-იანი ალბათობა)	6.5%	5.5%	5.0%
საბაზისო შემთხვევა (50%-იანი ალბათობა)	5.0%	5.0%	5.0%
დაღმავალი (25%-იანი ალბათობა)	2.0%	2.5%	3.5%

(ათასი ლარი)

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

#### დეფოლტირებული ოდენობა

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, გაუფასურების დაანგარიშების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის უნარს გაზარდოს კრედიტის ოდენობა სანამ დეფოლტირებული გახდება და ასევე პოტენციურ ვადაზე ადრე დაფარვას. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების დასაანგარიშებლად პირველი ეტაპის სესხისთვის, კომპანია ავასებს დეფოლტის შესაძლო მოვლენებს 12 თვის განმავლობაში, 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად. მე-2 და მე-3 ეტაპების და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, დეფოლტის ალბათობა გათვალისწინდება მოვლენებზე ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში.

#### დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების სტანდარტიზებული შეფასების სტრუქტურას, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს განაკვეთები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას იმ თანხასთან შედარებით, რომლის აღდგენაც მოსალოდნელია.

კომპანია კლიენტებზე გაცემული სესხების სეგმენტირებას ახდენს მისი საცალო საკრედიტო პროდუქტების უფრო მცირე ერთგვაროვანულ პორტფელებად სეგმენტირებას, იმ მნიშვნელოვანი მახასიათებლების საფუძველზე, რომლებიც შეესაბამება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას. გამოყენებული მონაცემები ეფუძნება ზარალის შესახებ მიღებულ ისტორიულ მონაცემებს და ისინი მოიცავენ გარიგების მახასიათებლების უფრო ფართო ნაკრებს (მაგ. პროდუქტის ტიპი, დაფარვის ვადა), ასევე ნასესხებ მახასიათებლებს.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ორი წლის განმავლობაში დეფოლტების და შესაბამისი ანაზღაურების გამოცდილების საფუძველზე. ანაზღაურების განვლილი პროცენტული მაჩვენებლები წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, დისკონტირების ფაქტორის სახით.

#### საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

კომპანია მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, კომპანია ავასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

იმის შეფასებისას, ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ანგარიშგების თარიღში ინსტრუმენტის დარჩენილი დაფარვის ვადის საფუძველზე ფინანსურ ინსტრუმენტზე წარმოშობილ დეფოლტის რისკს ადარებს წარმოშობილი დეფოლტის რისკს, რომელიც მოსალოდნელი იყო დარჩენილ დაფარვის ვადაზე მიმდინარე ანგარიშგების თარიღში, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი პირველად იქნა აღიარებული. ამ შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას, რომელიც გონივრული და საფუძვლიანია, მათ შორის განვლილ გამოცდილებას და საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი დანახარჯების და მცდელობების გარეშე, კომპანიის განვლილი გამოცდილების და საექსპერტო საკრედიტო შეფასების, მათ შორის საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე. თუ სახელშეკრულებო გადახდები 30-ზე მეტი დღით არის ვადაგადაცილებული (15 დღით მიკრო-სესხებისთვის) ან კრედიტი განმეორებით არის შეთანხმებული, კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

(ათასი ლარი)

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

#### უზრუნველყოფის საგანი

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია საცხოვრებელი ქონების და სხვა აქტივების იპოთეკა.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვენ დამატებით უზრუნველყოფას სესხის საბაზისო ხელშეკრულების თანახმად და თვალყურს ადევნებენ სესხის გაუფასურების ზარალის რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

#### მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მომხმარებლებზე გაცემული სესხები	პირველი ეტაპი	მეორე ეტაპი	მესამე ეტაპი	სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება
არა ვადაგადაცილებული	1,008	792	–	1,800
1-დან 15 დღემდე ვადაგადაცილება	40	43	–	83
16-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	120	63	–	183
31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	–	146	–	146
61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	–	41	245	286
რესტრუქტურიზებული სესხები				
90-ზე ნაკლებ დღიანი ვადაგადაცილებით (R1)	575	152	12	739
სესხები				
90-ზე მეტ დღიანი ვადაგადაცილებით; დეფოლტირებული სესხები	–	–	2,076	2,076
რესტრუქტურიზებული სესხები				
90-ზე მეტ დღიანი ვადაგადაცილებით (R2)	–	–	1,795	1,795
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სულ</b>	<b>1,743</b>	<b>1,237</b>	<b>4,128</b>	<b>7,108</b>

(ათასი ლარი)

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მთლიანი ნაშთი ბასს (IAS) 39-ის საფუძველზე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხების ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე:

<i>2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>მთლიანი სესხები</i>	<i>გაუფასურების რეზერვი</i>	<i>წმინდა სესხები</i>	<i>სულ სესხების გაუფასურების რეზერვი</i>
<b>იპოთეკური სესხები</b>				
არა ვადაგადაცილებული	1,887	(11)	1,876	0.6%
ვადაგადაცილება:				
30 დღემდე	538	–	538	0.0%
31-დან 60 დღემდე	77	–	77	0.0%
61-დან 90 დღემდე	23	–	23	0.0%
91-დან 180 დღემდე	94	(8)	86	8.5%
180 დღეზე მეტი	4,183	(979)	3,204	23.4%
<b>სულ იპოთეკური სესხები</b>	<b>6,802</b>	<b>(998)</b>	<b>5,804</b>	<b>14.7%</b>
<b>სამომხმარებლო სესხები</b>				
არა ვადაგადაცილებული	1,472	(22)	1,450	1.5%
ვადაგადაცილება:				
30 დღემდე	35	(2)	33	5.7%
31-დან 60 დღემდე	1	–	1	–
61-დან 90 დღემდე	2	(2)	–	100.0%
91-დან 180 დღემდე	5	(5)	–	100.0%
180 დღეზე მეტი	4	(4)	–	100.0%
<b>სულ სამომხმარებლო სესხები</b>	<b>1,519</b>	<b>(35)</b>	<b>1,484</b>	<b>2.3%</b>
<b>სალომზარდო სესხები</b>				
არა ვადაგადაცილებული	813	(12)	801	1.5%
ვადაგადაცილება:				
30 დღემდე	–	–	–	–
31-დან 60 დღემდე	–	–	–	–
61-დან 90 დღემდე	–	–	–	–
91-დან 180 დღემდე	–	–	–	–
180 დღეზე მეტი	24	(24)	–	100.0%
<b>სულ სალომზარდო სესხები</b>	<b>837</b>	<b>(36)</b>	<b>801</b>	<b>4.3%</b>
<b>მიკრო-სესხები</b>				
არა ვადაგადაცილებული	2,496	(235)	2,261	9.4%
ვადაგადაცილება:				
30 დღემდე	347	(146)	201	42.1%
31-დან 60 დღემდე	123	(98)	25	79.7%
61-დან 90 დღემდე	74	(66)	8	89.2%
91-დან 180 დღემდე	214	(209)	5	97.7%
180 დღეზე მეტი	23	(23)	–	100.0%
<b>სულ მიკრო-სესხები</b>	<b>3,277</b>	<b>(777)</b>	<b>2,500</b>	<b>23.7%</b>
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სულ</b>	<b>12,435</b>	<b>(1,846)</b>	<b>10,589</b>	<b>14.8%</b>

(ათასი ლარი)

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

### ლიკვიდურობის რისკი

#### ლიკვიდურობის რისკის მართვა

ლიკვიდურობის რისკი ეხება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობას, რომელიც დააკმაყოფილებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი ვადის მოსვლის შემთხვევაში.

ამ ტიპის რისკებს აკონტროლებს დირექტორთა საბჭო, ვადიანობის ანალიზის მეშვეობით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომდევნო ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის სამართავად, კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ლიკვიდურობის რისკის ანალიზი. ქვემოთ მოცემული პრეზენტაცია ეფუძნება კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ შიდა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას. ამ ცხრილებში მოცემული თანხები არ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ მოცემული პრეზენტაცია მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რომელიც იმაზე მიუთითებს მთლიან დარჩენილ სახელშეკრულებო გადახდებს (მათ შორის საპროცენტო გადახდებს), რომლებიც არ არის აღიარებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე.

	<i>6 თვემდე 1 თვემდე</i>	<i>1 თვიდან 3 თვემდე</i>	<i>3 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წლიდან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>2018 წლის 31 დეკემბერი სულ</i>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
ნასესხები სახსრები	5,870	69	302	2,703	–	8,944
სხვა ფინანსური ვალდებულებები	337	–	–	–	–	337
<b>ულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>6,207</b>	<b>69</b>	<b>302</b>	<b>2,703</b>	<b>–</b>	<b>9,281</b>
	<i>6 თვემდე 1 თვემდე</i>	<i>1 თვიდან 3 თვემდე</i>	<i>3 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წლიდან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>2017 წლის 31 დეკემბერი სულ</i>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
ნასესხები სახსრები	2,777	432	3,591	1,104	198	8,102
სხვა ფინანსური ვალდებულებები	170	–	–	–	–	170
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>2,947</b>	<b>432</b>	<b>3,591</b>	<b>1,104</b>	<b>198</b>	<b>8,272</b>

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1 თვემდე კატეგორიის ნასესხები თანხები მოიცავდა 1,960 ათასი ლარის ოდენობით ნასესხებ სახსრებს მშობელი კომპანიისგან, რომელიც კონვერტირდება კომპანიის საწესდებო კაპიტალში, ნებისმიერ დროს, კრედიტორის შეხედულებისამებრ (მე-10 შენიშვნა). ამ ნასესხები თანხების სახელშეკრულებო დაფარვის წელია 2023 წელი.



(ათასი ლარი)

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

### აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა:

	2018			2017		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,334	–	1,334	907	–	907
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	1,683	3,129	4,812	9,180	1,409	10,589
ძირითადი საშუალებები	–	342	342	–	284	284
არამატერიალური აქტივები	–	14	14	–	16	16
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	109	–	109	–	–	–
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	–	–	–	979	–	979
სხვა აქტივები	1,744	–	1,744	3,096	–	3,096
<b>სულ</b>	<b>4,870</b>	<b>3,485</b>	<b>8,355</b>	<b>13,162</b>	<b>1,709</b>	<b>15,871</b>
ნასესხები სახსრები	6,241	1,921	8,162	6,800	781	7,581
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	–	–	–	215	–	215
ანარიცხები	–	–	–	5,939	–	5,939
სხვა ვალდებულებები	9280	–	280	170	–	170
<b>სულ</b>	<b>6,251</b>	<b>1,921</b>	<b>8,442</b>	<b>13,124</b>	<b>781</b>	<b>13,905</b>
<b>წმინდა</b>	<b>(1,651)</b>	<b>1,564</b>	<b>(87)</b>	<b>1,038</b>	<b>928</b>	<b>1,966</b>

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო განაკვეთების ან ფასების მერყეობა ან ცვალებადობა უარყოფითად აისახება კომპანიის მოგებაზე, კაპიტალზე, ან მის უნარზე განახორციელოს თავისი საქმიანობის მიზნები. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკსა და სხვა ფასდადების რისკებს, რომლებიც კომპანიის საქმიანობას თან სდევს. კომპანიის მიერ რისკის შეფასებაში, მის წინაშე მდგარ რისკში და რისკის მართვისა და შეფასების მეთოდებში ცვლილება არ მომხდარა.

საპროცენტო განაკვეთი და საბაზრო რისკები იმართება კომპანიის მიერ წარმოდგენილი საპროცენტო განაკვეთის პოზიციის დადებით საპროცენტო მარჟასთან შედარების გზით. დირექტორთა საბჭო ახორციელებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს კომპანიის მგრძობიანობას საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებებზე და მის გავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. საპროცენტო მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გაიზარდოს, მაგრამ ასევე შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი მერყეობის შემთხვევაში.

კომპანია არ ფლობს არსებით ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს მცურავი განაკვეთებით და შესაბამისად მას არ აქვს არსებითი დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე.

(ათასი ლარი)

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს სავალუტო რისკს ღია სავალუტო პოზიციის გაკონტროლების გზით, ქართული ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებაზე დაყრდნობით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს, მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი სავალუტო კურსების მერყეობით გამოწვეული დანაკარგები.

კომპანიის ღია პოზიციები ძირითადი ვალუტების მიხედვით, რომელშიც მისი აქტივები და ვალდებულებებია გამოხატული, წარმოდგენილია ქვემოთ:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	2018 წლის 31 დეკემბერი, სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	245	1,089	–	1,334
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	1,962	2,850	–	4,812
სხვა ფინანსური აქტივები	333	–	–	333
<b>ფინანსური აქტივები, სულ</b>	<b>2,540</b>	<b>3,939</b>	<b>–</b>	<b>6,479</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
ნასესხები სახსრები	–	8,162	–	8,162
სხვა ფინანსური ვალდებულებები	184	95	1	280
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>184</b>	<b>8,257</b>	<b>1</b>	<b>8,442</b>
<b>ღია პოზიცია</b>	<b>2,356</b>	<b>(4,318)</b>	<b>(1)</b>	<b>(1,963)</b>

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	2017 წლის 31 დეკემბერი, სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	593	313	1	907
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	5,637	4,952	–	10,589
სხვა ფინანსური აქტივები	928	–	–	928
<b>ფინანსური აქტივები, სულ</b>	<b>7,158</b>	<b>5,265</b>	<b>1</b>	<b>12,424</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
ნასესხები სახსრები	–	7,581	–	7,581
სხვა ფინანსური ვალდებულებები	170	–	–	170
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>170</b>	<b>7,581</b>	<b>–</b>	<b>7,751</b>
<b>ღია პოზიცია</b>	<b>6,988</b>	<b>(2,316)</b>	<b>1</b>	<b>4,673</b>

(ათასი ლარი)

## 22. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

### სავალუტო რისკის მგრძობელობა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია კომპანიის მგრძობელობა აშშ დოლართან მიმართებით ლარის გაცვლითი კურსის შესაძლო გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული პროგნოზების საფუძველზე. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაყვანას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულებების მიხედვით 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2018 წლის 31 დეკემბერი		2017 წლის 31 დეკემბერი	
ლარი/აშშ დოლარი	ლარი/აშშ დოლარი	ლარი/აშშ დოლარი	ლარი/აშშ დოლარი
+10%	-15%	+30%	-30%

გავლენა მოგებაზე ან ზარალზე გადასახადით

დაბეგვრამდე	(432)	648	(694)	694
გავლენა კაპიტალზე	(21)	32	(589)	589

### მგრძობელობის ანალიზის შემზღვეველი გარემოებები

ზემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ძირითად დაშვებაში მომხდარი ცვლილების ეფექტი, როდესაც დანარჩენი დაშვებები უცვლელი რჩება. სინამდვილეში, დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის კორელაცია არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მგრძობელობა არა წრფივია და ამ შედეგებიდან მიღებული უფრო დიდი ან უფრო მცირე გავლენის ინტერპოლაცია ან ექსტრაპოლაცია არ არის მიზანშეწონილი.

მგრძობელობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთან, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შესაძლოა იცვლებოდეს აქტიურ ბაზარზე არსებული დინამიკის შესაბამისად. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგიის მიზანია ბაზარზე არსებული მერყეობით გამოწვეული დაქვემდებარების მართვა. იქედან გამომდინარე, რომ საინვესტიციო ბაზრები მოძრაობენ სხვადასხვა ტრიგერის დონეზე, ხელმძღვანელობის ქმედებები შესაძლოა მოიცავდეს ყიდვა-გაყიდვის ინვესტიციებს, საინვესტიციო პორტფელის განაწილების ცვლილებას და სხვა დაცვითი ქმედების განხორციელებას. შესაბამისად, დაშვებებში ცვლილების ფაქტიურ გავლენას შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ვალდებულებებზე, რადგან აქტივები კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღირიცხება საბაზრო ღირებულებით. ასეთ ვითარებაში ვალდებულებების და აქტივების შეფასების სხვადასხვა საფუძველზე შესაძლოა გამოიწვიოს აქციონერულ კაპიტალში ცვალებადობა.

ზემოაღნიშნული მგრძობელობის ანალიზის სხვა შეზღვევები მოიცავს ჰიპოთეტური ბაზრის მოძრაობის გამოყენებას იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც მხოლოდ კომპანიის მოსაზრებას წარმოადგენს შესაძლო უახლოესი საბაზრო ცვლილებების შესახებ და რომლის დაბეჯითებით პროგნოზირება შეუძლებელია; და დაშვებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა იდენტურია.

### საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა ის ხელს უწყებს ამ რისკების მართვას კონტროლის მექანიზმების გამოყენებით და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე რეაგირების გზით. კონტროლები მოიცავს მოვალეობების ეფექტურ გადაანაწილებას, შეღწევადობის, ავტორიზაციისა და ურთიერთ შეჯერების პროცედურებს, ასევე თანამშრომლების გადამზადების და შეფასების პროცესებს.

(ათასი ლარი)

**23. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები**

2019 წლის 14 ივნისს და 24 ივნისს, მშობელმა კომპანიამ მოახდინა 274 ათასი ლარის და 1,725 ათასი ლარის ოდენობით ნასესხები სახსრების საწესდებო კაპიტალში კონვერტირება.